ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF LAGODEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **92-922313753**
თარიღი: **17/05/2023**

ადრესატი: ჯუმბერ ბერიძიშვილი
პირადი ნომერი: 01001087235
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ჯაბიძის ქ N 14 , ბ-13

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული თქვენი მიმდინარე წლის 07 მაისის N 19/92231283-92 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას დამტკიცებული აქვს ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის" პროგრამა, რომელშიც 2019 წლიდან გათვალისწინებული იქნა გარკვეული ცვლილებები, მათ შორის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მაცხოვრებელი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის (პირველი ჯგუფი) მქონე სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებელში.

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც მომართავენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი დოკუმენტაციით:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის (სტუდენტის) პირადობის ასლი

გ) ცნობა შესაბამისი უმაღლეს სასწავლებლიდან სწავლის საფასურის დავალიანების თაობაზე

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ლაგოდეხის რაიონული განყოფილებიდან;

ე)ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა ,,ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.“

ვ) უმაღლესი სასწავლებლის საბანკო რეკვიზიტი.

რაც შეეხება სტუდენტების წამახალისებელი პროგრამისათვის გამოყოფილ ბიუჯეტს გაცნობებთ რომ, 2019 წელს სტუდენტების წამახალისებელი პროგრამა გაერთიანებული იყო ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების ქვეპროგრამაში, რისთვისაც გამოყოფილი იყო 351 300 ლარი.

2020 წელს ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 17 000 ლარს.

2021 წელს ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 17 000 ლარი

2022 წელს ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 115 000 ლარი

2023 წელს ამ პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა 125 000 ლარი.

პატივისცემით,

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი